ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №------

2026 წლის __

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, ასევე 61-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილებაში (ვებგვერდი: 30/12/2025, ძალაში შესვლის თარიღი: 01/01/2026წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.113.016543) კერძოდ:

1. მუხლი 9. დღის ცენტრის დაფინანსების (პროგრამული კოდი 06 02 02) მუხლში შევიდეს ცვლილება, კერძოდ აღნიშნული ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 9. დღის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 02)

პროგრამა ითვალისწინებს:

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე ბავშვების თანადაფინანსებას, რომლებიც სარგებლობენ სოციალური ადაპტაციის ფარგლებში დღის ცენტრის მომსახურებით.

2.პროგრამის მიზანია - ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა უფლებების (შემდგომში მოსარგებლე) დაცვა და რეალიზება ხარისხიანი მომსახურების მიწოდების, დამოკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

3.დღის ცენტრი - შემდგომში პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის დაფინანსება ყოველთვიურად ერთ ბენეფიციარზე არაუმეტეს 225 ლარისა, პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ, ერთ ბენეფიციარზე გათვლილი გაწეული მომსახურების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

4.პროგრამა უზრუნველყოფს, დღის ცენტრით მოსარგებლე ბენეფიციართათვის, საკურორტო სეზონზე წლის განმავლობაში ერთჯერადად არაუმეტეს 525 ლარით დასვენების თანადაფინანსებას.

5.პროგრამით სარგებლობისათვის პროგრამის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) ორგანიზაციის იურიდიული რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ბ)ორგანიზაციის მიერ სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებლად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

გ)პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის შესაბამისი აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

დ)პროგრამის განხორციელების ორგანიზაციული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ორგანიზაციის გამოცდილება).

ე) სხვა საჭირო დოკუმენტაცია სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად.

6.პროგრამით სარგებლობისათვის პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია:

ა) არ უნდა იყოს რეგისტრირებული მოვალეთა ერთიან რეესტრში.

ბ)სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ფარგლებში არ უნდა იყოს დაჯარიმებული საქმიანობის არაჯეროვანი შესრულებისთვის ბოლო 2 წლის განმავლობაში.

გ)არ უნდა გააჩნდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე ფინანსური ან სხვაგვარი შეუსრულებელი ვალდებულებები.“

მუხლი2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტზე

(განმარტებითი ბარათი შედგენილია ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად).

პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი - პაატა კუნჭულია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: მარიამ დარჩია- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა)პროექტის მიღების მიზეზი: აღნიშნული ცვლილების მიღება განპირობებულია მოქმედი წესის დახვეწის, პროგრამის ხელმისაწვდომობის გაზრდისა და პრაქტიკაში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრის აუცილებლობით. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი კატეგორიის ბავშვების სისტემური და ფინანსური მხარდაჭერაა. კერძოდ:

ბავშვთა უფლებების დაცვა და სოციალური იზოლაციის პრევენცია: მუნიციპალიტეტს ესაჭიროება სამართლებრივი მექანიზმი, რათა დაეხმაროს ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, მიუსაფარ, სოციალურად დაუცველ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებს (6-დან 18 წლამდე).

საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა: მიზანია ბავშვებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების განვითარება და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა სოციალური ადაპტაციის გზით.

დაფინანსების გამჭვირვალე მექანიზმის შექმნა: აუცილებელი იყო ზუსტად განისაზღვროს, თუ რა მოცულობის თანხას გამოყოფს მუნიციპალიტეტი (პროგრამული კოდი 06 02 02) თითოეულ ბენეფიციარზე და რა კრიტერიუმებით შეირჩევიან მიმწოდებელი ორგანიზაციები.

მომსახურების ხარისხის კონტროლი: რეგულაციის შემოღებით მუნიციპალიტეტი იზღვევს თავს არაკვალიფიციური მომსახურებისგან და ადგენს მკაცრ ფილტრს (აკრედიტაცია, გამოცდილება) სერვისის პროვაიდერებისთვის.

პროექტის მიზანი : პროექტის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში პროექტი წარმოადგენს მიზნობრივ, სოციალურ-მუნიციპალურ პროგრამას, რომელიც ორიენტირებულია ხარისხიანი სოციალური სერვისის შესყიდვაზე კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფისთვის, მკაცრად განსაზღვრული ბიუჯეტისა და ხარისხის კონტროლის ფარგლებში.

პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

ამდენად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი.

1. **იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):**

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

2. არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

6. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება.

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს ქალისა და მამაკაცის გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

7. განმარტებითი ბარათის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტის არსებობის შემთხვევაში, მასთან შესაბამისობის ცხრილი, დანართი №1-ის შესაბამისად.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

8. პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

9. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს (დადგენილების პროექტზე საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო ორგანოს დასკვნას არ ითვალისწინებს).

10. **ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება.**
ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

11. **პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2026 წლის ----.**